საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

გადაწყვეტილება

N გ-19-17/564
03/10/2019

564-გ-19-1-4-201910031813

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2019 წლის №51 სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ (შემდგომში "კომისია") განიხილა კომისიის 2019 წლის 03 ოქტომბრის N51 სხდომაზე წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის, „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების" 12^1 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. კომისიის 2019 წლის 03 ოქტომბრის N51 სხდომის დღის წესრიგში დამატებით შეტანილ იქნეს 8 (რვა) საკითხი:

ა) შპს „ჯეო მედიას" კერძო რადიომაუწყებლობის №B59 ლიცენზიის მოდიფიცირებისა და კომისიის 2011 წლის 30 დეკემბრის №838/6 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის მიზნით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ (მომხს. მ.ქადეიშვილი - სამართლებრივი დეპარტამენტის ლიცენზირების და ავტორიზაციის ჯგუფის უფროსი);

ბ) შპს "ტელერადიო კორპორაცია ინფორმკავშირი ტელევიზია არგოს" კერძო რადიომაუწყებლობის №B38 ლიცენზიის მოდიფიცირებისა და კომისიის 2011 წლის 30 დეკემბრის №819/6 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის მიზნით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ (მომხს. მ.ქადეიშვილი - სამართლებრივი დეპარტამენტის ლიცენზირების და ავტორიზაციის ჯგუფის უფროსი);

გ) შპს „ძველი ქალაქის" კერძო რადიომაუწყებლობის №B71 ლიცენზიის მოდიფიცირებისა და კომისიის 2014 წლის 31 ივლისის №402/6 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის მიზნით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ (მომხს. მ.ქადეიშვილი - სამართლებრივი დეპარტამენტის ლიცენზირების და ავტორიზაციის ჯგუფის უფროსი);

დ) შპს „ტელე-რადიოპრესკომპანია ზარის" კერძო რადიომაუწყებლობის №B44 ლიცენზიის მოდიფიცირებისა და კომისიის 2011 წლის 30 დეკემბრის №830/6 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის მიზნით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ (მომხს. მ.ქადეიშვილი - სამართლებრივი დეპარტამენტის ლიცენზირების და ავტორიზაციის ჯგუფის უფროსი);

ე) სსიპ „სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის" არაავტორიზებადი საქმიანობისთვის დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების მინიჭების შესახებ (მომხს. მ.ქადეიშვილი - სამართლებრივი დეპარტამენტის ლიცენზირების და ავტორიზაციის ჯგუფის უფროსი);

ვ) შპს „მომსახურების სააგენტოსთვის" არაავტორიზებადი საქმიანობისთვის დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების მინიჭების შესახებ (მომხს. მ.ქადეიშვილი - სამართლებრივი დეპარტამენტის ლიცენზირების და ავტორიზაციის ჯგუფის უფროსი);

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

ზ) საზღვაო ხომალდებისთვის სახმობისა და ამოცნობის ნიშნის მინიჭების შესახებ (მომხს. მ.ქადეიშვილი - სამართლებრივი დეპარტამენტის ლიცენზირების და ავტორიზაციის ჯგუფის უფროსი);
თ) საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში დასაქმებულთა პრემირების წესის შესახებ კომისიის 2014 წლის 15 ივლისის N367/22 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ (მომხს. თ.ჭელიძე - ხარისხის მართვისა და შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი);
2. კომისიის 2019 წლის 03 ოქტომბრის N51 სხდომის დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით (თან ერთვის);
2. გადაწყვეტილება ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება;
3. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის ადმინისტრაციას (ო.ვოტ).

კახი ბექაური

თავმჯდომარე

ელისო ასანიძე

წევრი

გიორგი ფრუიძე

წევრი

მერაბ ქათამაძე

წევრი